



საქმე №1/ზ-570-16



გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

28 სექტემბერი, 2016 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე ნათია ბარბაქაძე
მოსამართლეები: მანუჩარ კაპანაძე
ლევან თევზაძე

სხდომის მდივანი ავთანდილ ნასყიდაშვილი

სხდომის სახე - ღია;

ბრალდების მხარე:

პროკურორი - ნატო ბურთიკაშვილი;

დაცვის მხარე:

მსჯავრდებული - გ. გ., დაბადებული XXXX წლის XX ივლისს, საქართველოს მოქალაქე,
პირადი №XXXXXXXXXXXX, ნასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული: ქ.რ., მე-X მ/რ-
ნი, NXX/XX, მცხოვრები: ქ.ა., ე. მ. ქ. NX;

ადვოკატი - ბ. ზ.;

კვალიფიკაცია:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილი -
ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა;



საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლი - განზრახ მკვლელობის მცდელობა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი - განზრახ მკვლელობა.

სასჯელი:

დანაშაულთა ერთობლიობით, 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

მხარეთა პოზიცია

მსჯავრდებულ გ. გ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ბ. ზ.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანა, გ. გ.-ს ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე და 122-ე მუხლებით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის შემცირება, შემდეგ გარემოებათა გამო: აღნიშნული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არ ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. გ. გ. იცავდა თავს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან და მას სხვაგვარად არ შეეძლო მოეგერიებინა სამი ადამიანის შეტევა, რომელიც იყო იმწუთიერი და რეალური, თუმცა ის გაცდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და ჩაიდინა მკვლელობა - აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით და ასევე, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. ბრალდების მხარემ ვერ შეძლო მტკიცებულების წარმოდგენა, რაც დაადასტურებდა გ.გ.-ს მიერ მკვლელობის განზრახვის არსებობას. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით შერაცხულ დანაშაულს, არ წარმოადგენს რაიმე სერიოზულ საშიშროებას, რის გამოც აღნიშნული ქმედებისთვის დანიშნული სასჯელი არის მძიმე (ვრცლად იხ. სააპელაციო საჩივარი, სხდომის ოქმი).

ბრალდების მხარის მოთხოვნა - თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვება, შემდეგ გარემოებათა გამო: განაჩენი არის დასაბუთებული და კანონიერი, გ. გ.-ს ქმედებებს აქვს მიცემული სწორი კვალიფიკაცია და სამართლიანად არის დადგენილი მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი (იხ.სხდომის ოქმი).

სასამართლომ დაადგინა:

თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენით, გ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ მან ჩაიდინა:

- განზრახ მკვლელობის მცდელობა;



- განზრახ მკვლელობა;
- ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, კერძოდ:

2015 წლის 18 აგვისტოს, ქ.ა.-ში, ე.წ. „უ.-ს“ უბანში ურთიერთშელაპარაკება მოუვიდათ მთვრალ მდგომარეობაში მყოფ გ. ბ.-ს და გ. გ.-ს, რაც გადაიზარდა ჩხუბში. ჩხუბის დროს გ. გ. ბ.-ის მიმართ განეწყო შურისძიების გრძნობით და განიზრახა მისი მოკვლა. გ. გ.-მ თანნაქონი დანა გულმკერდის არეში დაარტყა გ. ბ.-ს და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. აღნიშნულ ჩხუბში ასევე ჩაერთო იქვე მყოფი პ. მ. და შეეცადა სიტუაციის განეიტრალებას. გ. გ.-მ ხელთარსებული დანა კონფლიქტში ჩართულ პ. მ.-ს განზრახ მოკვლის მიზნით დაარტყა გულმკერდის წინა მარცხენა ზედაპირზე და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. მიღებული დაზიანებების შედეგად პ. მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო გ. ბ. გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში, რომელიც სამედიცინო ჩარევის შედეგად გადარჩა.

გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ქ.ა.-ში, ე. მ.-ს ქ. №X-ში მცხოვრებმა გ. გ.-მა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ასაფეთქებელი მოწყობილობა - ერთი ცალი ქარხნული წესით დამზადებული ელექტრო დეტონატორი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში. ხსენებული ასაფეთქებელი მოწყობილობა 2015 წლის 19 აგვისტოს ნანახი და ამოღებული იქნა გ. გ.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის დროს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენით, გ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლის ვადით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა 08 (რვა) წლის ვადით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, გ. გ.-ს, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლის ვადით.

გ. გ.-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან - 2015 წლის 19 აგვისტოდან.

ქმედების სამართლებრივი აღწერა



მტკიცებულებების შეფასებამდე, აღსანიშნავია, რომ ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, კერძოდ, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, საჭიროა დადგინდეს დამნაშავეს მიერ დაზარალებულის სიკვდილის, როგორც შედეგის შეგნებული დაშვება ან ამ უკანასკნელის დადგომისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

მოცემულ შემთხვევაში, სააკუელაციო საჩივრით დაცვის მხარე ითხოვს გ. გ.-ის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე და 122-ე მუხლებით, რაც გულისხმობს მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. შესაბამისად, სადავოს არ წარმოადგენს შედეგი - ჰ.მ.-ის სიკვდილის, გ. ხ.-ის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების სახით და აღნიშნული ქმედებების განხორციელება გ. გ.-ის მიერ.

პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 თავით დადგენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები. კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ გარემოების შესაფასებლად, მოქმედებდა თუ არა პირი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, უნდა დადგინდეს შემდეგი:

1. ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო;
2. ხელყოფა იმავდროულად საფრთხეს უნდა უქმნიდეს სამართლით დაცულ სიკეთეს;
3. ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი;
4. თავდაცვა უნდა შეესაბამებოდეს თავდასხმას (ხელყოფას).

ანუ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობისათვის აუცილებელია ერთმანეთთან კავშირში მყოფი რამდენიმე გარემოების შეფასება, როგორცაა კონფლიქტის წარმოშობის საფუძველი და მიზეზი, გამოყენებულ საშუალებათა ურთიერთშესაბამისობა, როგორც ხელმყოფის საშიშროებასთან, ისე ინტენსივობასთან. ამ გარემოებათა დადგენის გარეშე მდგომარეობა ვერ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად.

მოცემულ შემთხვევაში, პალატას დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ შემთხვევის დღეს, გ. გ.-ის მისვლამდე, გ. ხ.-ის საცხოვრებელ სახლთან იმყოფებოდნენ ჰ.მ., თ. ყ. და გ. ხ.. აღნიშნული სამი პირიდან პ. მ. გარდაცვლილია.



დაზარალებულ გ. ბ.-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 18 აგვისტოს, სხვადასხვა ადგილზე ღებულობდა ალკოჰოლურ სასმელს მეგობრებთან ერთად. ბოლოს, საკუთარ სახლთან, პ. მ.-სთან და თ. ყ.-სთან ერთად მიირთმევდა ლუდს, რა დროსაც შემოესწროთ გ. გ.. როდესაც ჭიქა შესთავაზეს, გ.გ.-ს უთხრა ახლოს მიწეულიყო, რაზეც ამ უკანასკნელმა ჰკითხა რატომ უნდა მიწეულიყო, და რატომ არ უნდოდათ მისი იქ ყოფნა. გ.გ. მისკენ გაიწია, პ. და თ. ადგნენ, თუმცა მარცხენა მხარეს გვერდში რაღაც მოხვდა. გ.ბ.-ის ჩვენებით, არც მას, არც პ. მ.-ს და თ. ყ.-ს დანა არ ჰქონიათ. დაზარალებულის განმარტებით, მას დანა არ დაუნახავს, თუმცა სისველე იგრძნო და სახლში შევიდა თოფის გამოსატანად. სახლიდან გასვლისას უკან დაედევნა მეუღლე. როდესაც გამოვიდა, დაინახა პ. მ., რომელიც ყ.-ს ეჭირა ხელში, ხოლო გ.გ. იქ აღარ იყო. თ.ყ. კი ამბობდა, რომ მოკლა გ.-მა. დაზარალებულის ჩვენებით, მან არ იცის დაარტყა თუ არა გ.-ს ვინმემ მისი სახლში შესვლის დროს, თუმცა დარწმუნებით იცის, რომ მისი იქ ყოფნის პერიოდში ხელი არავისთვის დაურტყამთ.

თ. ყ.-ს ჩვენებით, გ. გ. მისი ბიძაშვილია, ხოლო გ.ბ. და პ.მ. მეგობრები. 2015 წლის 18 აგვისტოს, მეგობრებთან ერთად მიირთმევდა ალკოჰოლურ სასმელს. შემდეგ ლუდის სმა დაიწყო გ. ბ.-ს სახლთან. გზად ჩამოიარა გ. გ.-მა, რომელიც ასევე დაპატიჟეს ლუდზე. გ.გ. დაჯდა გ. (გ.) გვერდით. გ.-მ უთხრა ქვა დაედო, გ.გ. კი მოშორებით გადაჯდა. გ.-მ უთხრა, რომ მას ეს არ უთქვამს, რის შემდეგაც გ.გ.-მ დაარტყა და უთხრა „ბოლო-ბოლო რა გინდაო“. მან დაინახა, რომ დაარტყა ხელი, თუმცა ამ მომენტში დანა არ დაუნახავს. თვითონ და პ. ისხდნენ უფრო ახლოს და ჩადგნენ შუაში. გ.-ც წამოდგა, მაგრამ გ.-სთვის არ დაურტყამს. მოწმემ განმარტა, რომ პირველი გ. დაიჭრა, რადგან შემდეგ შეხება აღარ ჰქონია გ.გ.-თან. თავად მან ერთხელ დაარტყა ხელი გ.გ.-ს, პ.-მ ხელი მიარტყა. დაარტყა იმიტომ, რომ გ.გ.-ს არ უნდა დაერტყა უფროსისთვის. გ.გ. არ წაქცეულა. თ.ყ.-ს განმარტებით, მას პ.მ.-სთვის დანის დარტყმის და მისი წაქცევის ფაქტი არ დაუნახავს, მაგრამ დაინახა, რომ გ.-ს ხელში ეჭირა დანა. ამის შემდეგ მიუბრუნდა პ.-ს, გ. კი აღარ დაუნახავს. შემდეგ გ.ბ.-მ თქვა, რომ მგონი ისიც დაჭრილი იყო.

როგორც გ. ბ.-მ, ისე თ. ყ.-მ განმარტეს, რომ მათ დანა არ ჰქონიათ.

სხვა, ფაქტის უშუალო თვითმხილველი პირი, საქმის მასალებით არ დადგენილა. შესაბამისად, პალატა გადაწყვეტილებას იღებს სწორედ იმ მტკიცებულებათა ფარგლებში, რაც წარმოადგინეს მხარეებმა, გ. გ.-ს ჩვენებასთან ერთობლიობაში.

გ.გ.-ს განმარტებით, 2015 წლის 18 აგვისტოს, ღამის საათებში დასაღვეად წავიდა თავისი შვილის ნათლიასთან, თან წაიღო დანა და ე.წ. „სალა“, გზად უნდა შეეველო მაღაზიაში და წაეყო ალკოჰოლური სასმელი. გ. ბ.-ს სახლთან დაუძახეს. მივიდა. გ.ბ. თხოვა დამჯდარიყო, ხოლო თ. ყ. და პ. მ. ფეხზე იდგნენ. დაჯდა ქვაზე, თუმცა გ.-მ უთხრა სხვაგან გადამჯდარიყო და გადაჯდა, შემდეგ მისი მითითებით გადაჯდა კიდევ სხვა ქვაზე. შემდეგ კიდევ უთხრა სხვაგან გადამჯდარიყო, და როდესაც კითხა თუ სხვაგან სადღა გადამჯდარიყო, გ.ბ.-მ ცუდი სიტყვებით მიმართა მას, რის გამოც დაიწყო



კამათი. მას დამჯდარი გ.-სთვის დანა არ დაურტყამს, ხელითაც კი არ შეხებია. ამ კამათში პ. მ. მიუტრიალდა, უწმაწური სიტყვა უთხრა და ხელი დაარტყა, სახეში შეაფურთხა, ნიკაპში ამოარტყა, ქვემოდან კბილიც კი ჩამოძვრა, ტუჩიც გაუხეთქა, რა დროსაც მუხლებით დაეცა მიწაზე. გ.გ.-ს განმარტებით, თ. ბოთლს ურტყამდა ფეხებში, რამდენჯერმე თავშიც ჩაარტყა, პ.-ც ურტყამდა ბოთლს თავში. გაიქცა, გ. ხ. კი ეძახდა, რომ შუბლი უნდა გაეხვრიტა. დაიჭირეს რუსთან, სადაც გ.-მ თოფი დადო, ჩააგდეს რუში და პ. მ. უყვიროდა, რომ უნდა ჩაეხრჩო. თავად მას არავისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. წყლიდან როდესაც ამოვიდა ინსტინქტურად გაიქნია ერთხელ ხელი. ზედ შემოაწყდა პ. მ. და მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ დანა ეჭირა ხელში. გ.გ.-ს განმარტებით, მას სამივე პირი ცემდა, გ.ხ. თოფით ემუქრებოდა და თავად მხოლოდ თავს იცავდა, შესაბამისად, არასწორია მის მიმართ წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაცია.

პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის არგუმენტებს, რადგან გ. გ.-ის ჩვენება არ გამომდინარეობს იმ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, რაც გამოკვლევული იქნა სასამართლო სხდომაზე. კერძოდ, მოწმე ე. ჯ.-მ, რომელიც გ. ხ.-ს მეუღლეა, განმარტა, რომ 2015 წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით 23:30 საათზე დაუძახა მეუღლემ და სთხოვა 3 ჭიქის მიწოდება ლუდის დასალევად. რამდენიმე ხანში გაიგო კარის ხმა, გამოსვლისას კი დაინახა, რომ მისი მეუღლე გარბოდა კარებში თოფით. მოწმემ განმარტა, რომ მეუღლეს დაედევნა, ეძახდა გაჩერებულიყო და მათ შორის მანძილი იყო დაახლოებით 4-5 მეტრი. ზემოთ რომ აიხედა, დაინახა ჩრდილი და თ., რომელიც იძახდა „მოკლა მოკლაო“. ე.ჯ.-ს ჩვენებით იმ ადგილზე მისი მეუღლის და თ.-ს გარდა სხვა არავინ ყოფილა. პ. მ.-ს გულის მასაჟების გაკეთება დაუწყეს, სასწრაფოში დარეკეს. ახსოვს, რომ მისი მეუღლის მაიკაზე თოფის გატანის დროს, სისხლი შეამჩნია, თუმცა მაშინ არ უფიქრია, რომ იყო დაჭრილი. სასწრაფო რომ მოვიდა შიგნით შევიდა, მისი მეუღლე პერანგს იცვამდა, რა დროსაც უთხრა, რომ დაჭრილი იყო და ცუდად გრძნობდა თავს.

მოწმეებმა ზ. ჩ.-მ, მ. ჩ.-მ, მ. უ.-მ დაადასტურეს ყვირილის და ხმაურის გამო გარეთ გასვლის ფაქტი. მოწმეებმა მიუთითეს, რომ გ. ხ.-ს სახლთან იყვნენ მხოლოდ თ.ყ., გ. ხ., ხოლო ჭიშკართან იდგა ე.ჯ.. როგორც მათ გაიგეს, დაჭრილი იყო პ. მ. და გამოძახებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. მ. ფაქტის თვითმხილველი მოწმე არაა.

მოწმე ხ. ც.-მ, რომელიც გ. გ.-ს მეუღლეა, განმარტა, რომ 2015 წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით 23:00 საათზე, გ. სიგარეტზე გავიდა, ცოტა ხანში კი დაბრუნდა და თქვა, რომ პ. მ.-ს დანა დაარტყა და მისი ვარაუდით შემოაკვდა. გ. ამბობდა, რომ მას ყველა ცემდა. მოწმემ განმარტა, რომ მის მეუღლეს ვიზუალურად ეტყობოდა დაზიანებები. დაადასტურა ჩხრეკის ჩატარებაზე თანხმობის გაცხადება და ჩხრეკის მიმდინარეობაზე დასწრება.



შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, შემთხვევის ადგილი მდებარეობს ქ.ა.-ში და წარმოადგენს ე. მ.-ს ქუჩაზე მდებარე საავტომობილო გზას, რომელიც არის მოასფალტებული და მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთით. საავტომობილო გზის აღმოსავლეთით მდებარეობს გ. ხ.-ს საცხოვრებელი სახლი, რომლის ჩრდილოეთით გრუნტიანი საავტომობილო გზის შესართავთან ასფალტიანი გზის აღმოსავლეთ ნაპირზე, თავით აღმოსავლეთით, გულაღმა მდგომარეობაში ასვენია მამრობითი სქესის მამაკაცი (პ. მ.-ს გვამი). გვამი თავის, გულმკერდის, მუცლის და ზედა კიდურების არეში მოსვრილია სისხლით. გვამს გულმკერდის მარცხენა ნახევარში ძუძუს ხაზზე 8-11 ნეკნთა შუა არეში გასწვრივად აღენიშნება სწორ კიდებებიანი ჭრილობა დაახლოებით 10 სმ. სიგრძის. გვამის გვერდით საავტომობილო გზა დასვრილია მოწითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქებით. გვამიდან სამხრეთით 7 მეტრში, გრუნტიანი გზის შესართავთან მიწაზე ნანახი იქნა 1 ცალი ხისტარიანი დანა, რომელსაც პირზე აღენიშნებოდა მოწითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები. გვამიდან ჩრდილოეთით 6 მეტრში საავტომობილო გზის შუაში ნანახი იქნა 1 ცალი მოყვითალო ფერის პოლიეთილენის ვაზნა. ვაზნიდან დასავლეთით 2 მეტრში და გვამიდან ჩრდილო დასავლეთით 7 მეტრში, საავტომობილო გზის დასავლეთ მხარეს მიწაზე ნანახი იქნა 1 ცალი ერთლულიანი სანადირო თოფი NXXXXXX. საგამომიებო მოქმედების სისწორე დადასტურეს სხდომაზე დაკითხვისას მოწმეებმა.

დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, გ. გ. დაკავებულ იქნა ქ.ა., ე. მ.-ს ქუჩა №X-ში, საცხოვრებელი სახლის ეზოში.

მოწმე მ. ბ.-ს ჩვენებით, 2015 წლის 18 აგვისტოს, სამმართველოში 112-დან შევიდა შეტყობინება, რომ ქალაქ ა.-ში უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა მამაკაცი. შემთხვევის ადგილზე გავიდა თანამშრომლებთან ზ. ხ.-სთან და ნ. კ.-სთან ერთად. მისვლისას ნახეს, რომ პ. მ. უკვე გარდაცვლილი იყო. იქ მყოფი ხალხისგან გაიგეს, რომ აღნიშნული პიროვნება მოუკლავს გ. გ.-ს. იქ იმყოფებოდა გ. ხ., რომელიც იყო ასევე დაჭრილი. მივიდნენ გ. გ.-ს საცხოვრებელ სახლში. ამ უკანასკნელს დაკავებისას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

2015 წლის 19 აგვისტოს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმის და მოწმე ლ.ო.-ს ჩვენების თანახმად, ქ. ა., ე. მ.-ს ქ. №X-ში, საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებულ საძინებელ ოთახში მდგარ ტახტზე ნანახი იქნა მწვანე ფერის მოკლესახელოებიანი მაისური, რომელიც წინიდან იკვრება 2 ღილით. მაისურს წინიდან გულმკერდის არეში აღენიშნება მოწითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები. იმავე საძინებელ ოთახში მდგარი კარადის თაროზე ფინჯანში ნანახი იქნა 1 ცალი მოყავისფრო ფერის ლითონის მილის ფორმის სხეული, რომლის სიგრძეა 7 სანტიმეტრი. აღნიშნული ლითონის სხეულის ერთ მხარეს მიერთებულია ორი ცალი იზოლირებული ელექტროსადენი.

2015 წლის 14 სექტემბრის სამედიცინო ექსპერტიზის №XXXXXXXXXX დასკვნის თანახმად, გ. ხ.-ს 18.08.2015წ-ს ახმეტის რაიონულ ჰოსპიტალში მოთავსების დროს



გულმკერდის მარცხენა ნახევარში VII-VIII ნეკნის დონეზე შუა და უკანა აქსილარული ხაზებს შორის აღენიშნებოდა გულმკერდისა და მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობა VII ნეკნთაშუა არტერიის დიაფრაგმის, ელენთის, კუჭის, განივი კოლინჯის და მისი ჯორჯლის, სიგმური კოლინჯის და მარცხენა თირკმლის კაფსულის დაზიანებით. ჰემოპერიტონიუმში. მარცხენა ღია ჰემოპნევმოთორაქსი. ტრამპულ-ჰემორაგიული შოკი. აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. დასკვნის სისწორე დადასტურებული იქნა ექსპერტ გ. კ.-ს ჩვენებით.

2015 წლის 17 სექტემბრის სამედიცინო ექსპერტიზის №XXXXXXXXX დასკვნის და ექსპერტ თ. ზ.-ს ჩვენების თანახმად, პ. მ.-ს გვამს აღენიშნებოდა შემდეგი სიცოცხლის დროინდელი დაზიანებები: გულმკერდის მარცხენა ნახევარში ნაკვეთი შემავალი ჭრილობა გულის დაზიანებით. ჭრილობის არხის მიმართულებაა წინიდან უკან, ოდნავ ქვევიდან ზევით მარცხნიდან მარჯვნივ. ეს დაზიანება განვითარებულია მჩხვლეტავ მჭრელი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისთვის სახიფათო, რაც უშუალო მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან. ნაჭდევები მარჯვენა თვალბუდის, მარჯვენა წარბის და ცხვირის არეში სიცოცხლის დროინდელია, განვითარებულია სიკვდილამდე უახლოეს პერიოდში მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რაც დამდგარ შედეგთან მიზეზობრივი კავშირი არ აქვს. პ. მ.-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია გულის ტამპონადა, განვითარებული გულმკერდის მარცხენა ნახევარში შემავალი ჭრილობით, რასაც მოჰყვა გულის დაზიანება. სიკვდილის მომენტიდან გვამის გამოკვლევამდე გასულია არანაკლებ 8 საათისა.

ექსპერტ თ. კ.-ს ჩვენებით, ქიმიურ-ტოქსოკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენილ პ.მ.-ს გვამიდან აღებულ სისხლში აღმოჩნდა 3,26% ეთილის სპირტი.

2015 წლის 24 აგვისტოს სამედიცინო ექსპერტიზის №XXXXXXXXX დასკვნის თანახმად, 19.08.2015წ.-ს გასინჯვით გ. გ.-ს სხეულზე აღენიშნება შემდეგი სახის დაზიანება: სისხლნაჟღენთი მარჯვენა ქვედა ქუთუთოსა და მარჯვენა წვივის არეში. სისხლჩაქცევა მარჯვენა თვალის სკლერის არეში. ნაჭდევი მარცხენა მტევნის არეში. აღნიშნული დაზიანება მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს 18.08.2015 წელს. დასკვნის სისწორე დადასტურა ექსპერტმა ა. კ.-მ, რომელმაც განმარტა, რომ ექსპერტიზა ნაწარმოები იქნა მხოლოდ პირადი გასინჯვის საფუძველზე.

2015 წლის 23 სექტემბრის პიროტექნიკური ექსპერტიზის №XXX დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი, ერთი ცალი ცილინდრული ფორმის ლითონის საგანი წარმოადგენდა ქარხნული წესით დამზადებულ ელექტრო-დეტონატორს, რომელიც წარმოადგენს ასაფეთქებელ მოწყობილობას, მიეკუთვნება როგორც საბრძოლო



მასალათა კატეგორიას, ასევე გამოიყენება სახალხო მეურნეობაში (შახტებში და კლდოვან ქანებში აფეთქების საწარმოებლად). საბრძოლო გამოცდის ჩატარებამდე ვარგისი იყო დანიშნულებით გამოსაყენებლად. დასკვნის სისწორე დადასტურებული იქნა ექსპერტ ზ. ყ.-ს ჩვენებით.

2015 წლის 30 სექტემბრის ბიოლოგიური ექსპერტიზის №XXXXXX დასკვნის და ექსპერტების შ. კ.-ს და ქ. ქ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ „პაკეტში, წარწერით: „...გ. გ.-ს სისხლის ნიმუში...“, მოთავსებული სისხლი (ობ.№20) მიეკუთვნება B(III) ჯგუფს, Rh+ფაქტორს. - პაკეტში წარწერით: „...გ. ბ.-ს ნიმუში“, მოთავსებული სისხლი (ობ.№21) მიეკუთვნება A(II) ჯგუფს, Rh-ფაქტორს. - პაკეტში წარწერით: „...პ. მ.-ს გვამიდან აღებული სისხლი...“ მოთავსებული სისხლი (ობ.№22) მიეკუთვნება O(I) ჯგუფს, Rh+ფაქტორს. - პაკეტში, წარწერით: „...ხისტარიანი დანა მოწითალო ფერის ლაქებით...“, მოთავსებული დანის პირზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები (ობ.№1) წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი იდენტურია გ. ბ.-ს (ობ.№21) გენეტიკური პროფილის. ამავე დანის ტარზე არსებული ბიომასალის(ობ.№2) შერეული გენეტიკური პროფილი ეკუთვნის სულ მცირე ორ პირს. ობ. №2-ის გენეტიკური პროფილში, გამოვლენილი ალელების მიხედვით, გ. ბ.-ს (ობ.№21) და პ.მ.-ს (ობ.№22) გენეტიკური თანამონაწილეობა ვლინდება, ხოლო გ. გ.-ს (ობ.№20) არა; პაკეტში წარწერით: „...მოწითალო ფერის ლაქა გვამის დასავლეთით ასფალტიდან...“, მოთავსებულ დოლბანდის ფრაგმენტზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქა (ობ.№3) წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი იდენტურია პ. მ.-ს (ობ.№22) გენეტიკური პროფილის; - პაკეტში, წარწერით: „...თეთრი ფერის მაისური...“, მოთავსებულ თეთრი ფერის მაისურზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები (ობ.№4,5) წარმოადგენს ადამიანის სისხლს. ობ.№4-ის გენეტიკური პროფილი გ. ბ.-ს (ობ.№21), ხოლო ობ.№5-ის გენეტიკური პროფილი პ. მ.-ს (ობ.№22) გენეტიკური პროფილის იდენტურია. პაკეტში, წარწერით...ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული მწვანე ფერის მაისური, მოთავსებულ მომწვანო ფერის მაისურზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქა (ობ.№6) წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი პ. მ.-ს (ობ.№22) გენეტიკური პროფილის იდენტურია. პაკეტში წარწერით: გ. გ.-ს მიერ წარმოდგენილი ტანსაცმელი მოთავსებული ჯინსის შარვალზე (ობ.№7,8) და წყვილ ფეხსაცმელზე(ობ.№9,10) არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი შერეული ტიპისაა, ეკუთვნის ორ პირს.ობ.№7-ის გენეტიკური პროფილის ერთი წილი გ. გ.-ს(ობ.№20), ხოლო მეორე წილი პ. მ.-ს (ობ.№22)გენეტიკური პროფილის იდენტურია. ობ.№8,9-ის გენეტიკური პროფილი იდენტურია პ. მ.-ს (ობ.№22) გენეტიკური პროფილის. ობ.№10-დან გენოტიპირებისათვის საჭირო, ადამიანის ბირთვული დნმ-ის მინიმალური კონცენტრაცია არ აღმოჩნდა, დნმ-ის დეგრადაციის ან ინჰიბიციის გამო. პაკეტში, წარწერით გ. ბ.-ს პერანგი, მოთავსებულ პერანგზე არსებული მოწითალო-მოყავითალო ლაქები (ობ.№11,12) წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი გ. ბ.-ს (N21)გენეტიკური პროფილის იდენტურია. პაკეტში წარწერით პ. მ.-ს გვამიდან ამოღებული ტანსაცმელი მოთავსებულ შარვალზე (ობ.№13), საცვალზე (ობ.№14)



მაისურზე(ობ.N15), წინდასა(N16) და წყვილ ფლოსტზე(ობ.N17,18) არსებული მოწითალო მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი **პ. მ.-ს**(ობ.N22) გენეტიკური პროფილის იდენტურია. პაკეტში წარწერით: **პ. მ.-ს** გვამიდან ამოღებული ფრჩხილების ნიმუშები, მოთავსებულ ფრჩხილების ფრაგმენტებზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები(ობ.N19) წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი **პ. მ.-ს** (ობ.N22) გენეტიკური პროფილის იდენტურია.

2015 წლის 06 ოქტომბრის ნივთიერებათა მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის **NXXXXXXXX** დასკვნით და ექსპერტ **თ. მ.-ს** ჩვენებით დადგენილია, რომ **პ. მ.-ს** ფრჩხილების გადანაჭრებში ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი მაისურების, **გ. ხ.-ს** პერანგის და **გ. გ.-ს** ჯინსის შარვლის ქსოვილის შემადგენელი ბოჭკოები არ აღმოჩნდა. **გ. გ.-ს** ჯინსის შარვალზე აღმოჩენილ მუქი ნაცრისფერი ბამბის ბოჭკოებს და **პ. მ.-ს** სპორტული შარვლის ქსოვილის შემადგენელ ანალოგიურ ბოჭკოებს აქვთ საერთო გვარობრივი კუთვნილება.

2015 წლის 12 ოქტომბრის ტრასოლოგიური ექსპერტიზის **NXXXXXXXX** დასკვნის და ექსპერტ **თ. შ.-ს** ჩვენებით დადგენილია, რომ ლუქებზე და ფუთებზე არსებული წარწერების მიხედვით: გამოსაკვლევად წარმოდგენილ **პ. მ.-ს** ტანსაცმლიდან - მაისური, სპორტული შარვალი, ქვედა საცვალი-ტრუსი, ერთი წყვილი წინდა და ერთი წყვილი საზაფხულო ქოში-მხოლოდ მაისურზე წინა მარცხენა ზედაპირზე, მარჯვენა და მარცხენა მხრის ზედა მიდამოში არსებული დაზიანებები მექანიკური ხასიათისაა და განვითარებულია: ხევით და ჭრით-ბრტყელი, მჭხვლეტავ-მჭრელი, ცალმხრივლესილი ნაწიბურის მქონე საგნის მოქმედებით, რომლის მორფოლოგიური მახასიათებლები ემსგავსება წარმოდგენილ დანის კონსტრუქციულ მონაცემებს, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს დაზიანებათა განვითარების შესაძლებლობას გამოსაკვლევი დანით. ექსპერტიზაზე წარმოდგენილ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ თეთრი ფერის მაისურზე უკან ზედაპირზე მარცხნივ, ბეჭის ქვედა მიდამოში და **გ. ხ.-ს** პერანგზე ზურგის მიდამოში არსებული დაზიანებანი მექანიკური ხასიათისაა და განვითარებულია: მაისურზე ჭრით-ბრტყელი, მჭხვლეტავ-მჭრელი, ცალმხრივლესილი ნაწიბურის მქონე საგნის ზემოქმედების შედეგად, რომლის კონსტრუქციული მონაცემები გარკვეულად შეესაბამება გამოსაკვლევი დანის პირის მონაცემებს, რითაც თავის მხრივ არ გამორიცხავს წარმოდგენილი დანის პირით, დაზიანების განვითარების შესაძლებლობას, ხოლო პერანგზე კი ხევით. გამოსაკვლევად წარმოდგენილ მწვანე ფერის მაისურს და **გ. გ.-ს** ტანსაცმელზე (ჯინსის შარვალი ქაბრით, ერთი წყვილი სპორტული ფეხსაცმელი-ე.წ.“ბოტასები“) საერთო ექსპლუატაციური ცვეთის ფონზე, გარდა საექსპერტოდ საჭირო ამონაჭრების მათზე მექანიკური ზემოქმედებისთვის დამახასიათებელი დაზიანება არ აღენიშნება. გამოსაკვლევად წარმოდგენილი დანა დამზადებულია ქარხნული წესით და წარმოადგენს საოჯახო-სამეურნეო დანიშნულების ცალმხრივლესილი პირის მქონე დანას, რომელსაც გააჩნია მჭხვლეტავ-მჭრელი თვისებები, რის გამოც, მიჩნეულია ცივ იარაღად.



პალატას მიაჩნია, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენი არის კანონიერი, დასაბუთებული, სამართლიანი და არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სხვა პირობების არსებობასთან ერთად, აუცილებელი მოგერიების დროს თავდაცვა უნდა შეესაბამებოდეს თავდასხმას. თავად მსჯავრდებულის ჩვენებით დადგენილია, რომ მას სამივე პირი სასტიკად უსწორდებოდა, ამცირებდნენ, თავში და ფეხებში ურტყამდნენ ბოთლს, გ.ბ. ემუქრებოდა შუბლის გახვრეტით, რის გამოც იმყოფებოდა მოგერიების მდგომარეობაში. აღნიშნული პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან როგორც გ. ბ.-ს, ისე თ. ყ.-ს ჩვენებით დგინდება, რომ თავდაპირველად დაჯდომის ადგილთან დაკავშირებით კამათი დაიწყო გ.გ.-ს და გ.ბ.-ს შორის, რა დროსაც გ.გ. წამოიწია და გ.ბ.-ს ხელი დაარტყა. ის გარემოება, რომ გ.ბ. სწორედ ამ დროს დაიჭრა, დადასტურებულია ჩვენებებით - გ.ბ.-ს ჩვენებით მან სისველე იგრძნო, ხოლო თ.ყ.-ს ჩვენებით, გ.გ.-სთან გ.ბ.-ს შემდეგ შეხება აღარ ჰქონია. აღნიშნული ქმედებით, გ.გ.-მ ჩაიდინა გ.ბ.-ს მკვლელობის მცდელობა, რადგან მიყენებული ჭრილობა - გულმკერდისა და მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობა VII ნევნთაშუა არტერიის დიაფრაგმის, ელენთის, კუჭის, განივი კოლინჯის და მისი ჯორჯლის, სიგმური კოლინჯის და მარცხენა თირკმლის კაფსულის დაზიანებით, მიეკუთვნებოდა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებას. ამასთან, გ.გ.-ს არ შეეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა, ვინაიდან, ასევე მოწმეთა ჩვენებებით გ.ბ.-ს და გ.გ.-ს შორის ჩადგნენ პ. მ. და თ. ყ. პ.მ.-ს სიცოცხლის მოსპობის განზრახვა გ.გ.-ს წარმოეშვა სწორედ ამის შემდეგ. ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა პ.მ.-სთვის და შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

გ.გ.-ს ჩვენება წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ დაზარალებულისა და თ.ყ.-ს ჩვენებასთან, არამედ ე.ჯ.-ს ჩვენებასთანაც. მოწმემ განმარტა, რომ, როდესაც მისი მეუღლე სახლიდან თოფით ხელში გადიოდა, მან მასურზე შეამჩნია სისხლი. ამასთან, მოწმის ჩვენებითვე, ის მეუღლეს მიყვებოდა 4-5 მეტრის მოშორებით, ხოლო გარეთ დაინახა ჩრდილი და თ. ყ., რომელიც ყვიროდა რომ „მოკლა, მოკლა“. ე.ჯ.-მ ასევე განმარტა, რომ მითითებულ ადგილზე მათ გარდა სხვა პირი, მათ შორის გ.გ. არ იმყოფებოდა. შესაბამისად, ის გარემოება, რომ გ.გ.-ს „შუბლის გახვრეტით“ ემუქრებოდა გ.ბ., არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან თოფი დაზარალებულმა გაიტანა მისი დაჭრის შემდეგ. წარმოდგენილი მტკიცებულებებით, თოფის გატანის მომენტისათვის იქ აღარ იმყოფებოდა გ. გ. ამასთან, საგულისხმოა, რომ გ.გ.-ს ჩვენება - სასტიკ ცემასთან, შემდეგ არხში ჩაგდებასთან და იქ ცემის გაგრძელებასთან, თოფის დემონსტრირებასთან დაკავშირებით, არ დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით. არ დასტურდება იყო თუ არა სველი ან ტალახიანი გ.გ.-ს ტანსაცმელი, რატომ არ იქნა ყურადღება გამახვილებული აღნიშნულ გარემოებებზე გამოძიების მიმდინარეობისას დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით და ა.შ.. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებას, უნდა დადასტურდეს



აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ყოფნა. გ.გ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებები, მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლიობაში არ იძლევა ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს. როგორც გ.ბ.-ს, ისე კ.მ.-ს სხეულზე მიყენებული დაზიანებები იყო შემავალი გულმკერდის ღრუში. გ.ბ.-ს შემთხვევაში დაზიანებული იყო VII ნეკნთაშუა არტერიის დიაფრაგმა, ელენთა, კუჭი, განივი კოლინჯი და მისი ჯორჯალი, სიგმური კოლინჯი და მარცხენა თირკმლის კაფსულა, ხოლო კ.მ.-ს შემთხვევაში, გულმკერდის მარცხენა ნახევარში ნაკვეთი შემავალი ჭრილობით დაზიანდა გული. შესაბამისად უსაფუძველოა გ.გ.-ს განმარტება, რომ იქნევდა ხელს და როდესაც კ.მ. შემოაწყდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ხელში ეჭირა დანა, ხოლო როდის მოხვდა დანა გ.ბ. -ს, საერთოდ არ იცის.

დაზარალებულთათვის მიყენებული დაზიანებების ლოკალიზაცია, ხარისხი, არ შეიძლება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად იქნეს მიჩნეული. პალატას მიაჩნია, რომ გ.გოგოჭურის ქმედებები - სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის ორგანოებში დანის დარტყმა არ არის შესაბამისი და პროპორციული გარდაცვლილის და გ.ბ.-ს შესაძლო ქმედებებთან. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დროს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი და რეალური. მოცემულ შემთხვევაში არსებული მოცემულობა, იმ პირობებში, როდესაც დანა იყო გ.გ.-ს ხელში, ხოლო გ.ბ.-ს, კ.მ.-ს და თ.ყ.-ს დანა ან სხვა რაიმე ბასრი საგანი თუ ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონიათ, ვერ მიიჩნევა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფად, მით უმეტეს - რეალურად და იმწუთიერად, რაც მას მისცემდა აუცილებელი მოგერიების - დანის დარტყმის უფლებას ჯერ გ. ბ.-სთვის, ხოლო შემდეგ კ. მ.-სთვის. გ. გ.-ს ჩვენება არ შეესაბამება მოცემულ რეალობას. კერძოდ, ჭრილობების ლოკალიზაცია, ხარისხი დადგენილი იქნა ექსპერტიზის დასკვნებით, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის გ. გ.-ს ჩვენებასთან. ხელის ქნევა მოსაგერიებლად (მხოლოდ დაჭრის შემდეგ მიხვედრა, რომ იქნევდა დანიან ხელს) და შემავალი ჭრილობების მიყენება, ვერ შეფასდება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ყოფნად. მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ ადგილი ჰქონდა ჩხუბს და გ.გ.-ს მიღებული აქვს მსუბუქი ხარისხის დაზიანებები, ვერ გახდება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ყოფნის დადასტურების საფუძველი.

პალატა დამატებით განმარტავს, რომ განზრახ მკვლელობის სავალდებულო ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს შედეგის დადგომა სიკვდილის სახით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს კ. მ.-ს შემთხვევაში, ხოლო გ. ბ.-ს შემთხვევაში სიკვდილი აცილებული იქნა თავიდან მსჯავრდებულისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. ორივე ქმედება მიზეზობრივად უკავშირდება გ.გ.-ს მხრიდან დანით და სასიცოცხლო ორგანოებში მიყენებულ დაზიანებებს. სწორედ მსჯავრდებულის ქმედებებით განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის და 19,108-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობა. მოწმეთა მიერ სასამართლო სხდომაზე დადასტურებული ფაქტები, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტიზის დასკვნები, გ. გ.-ს ჩვენებასთან ერთად მეტყველებენ, რომ მის ქმედებას წინ უძღოდა



კონფლიქტური ფონი. განვითარებულმა მოვლენებმა კი განსაზღვრა გ.გ.-ს მიზანმიმართული მოქმედებები, რაც მეტყველებს განზრახვაზე და არა თავდაცვით მოტივირებულ მოქმედებაზე, რის გამოც სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასჯელის დასაბუთება

პალატას მიაჩნია, რომ უცვლელად უნდა დარჩეს განაჩენით დანიშნული სასჯელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, შემამსუბუქებელი გარემოების, ჩადენილი დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, პირადი და ეკონომიური პირობების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასჯელის სახედ და ზომად დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლს და დაცვის მხარის აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ ამოღებული ნივთი არ არის სიცოცხლისათვის სახიფათო საგანი და მკაცრია დანიშნული სასჯელი, ვერ იქნება გაზიარებული. ასაფეთქებელი მოწყობილობა, გამოყენების შემთხვევაში, ასევე წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლის მხრიდან გათვალისწინებული გარემოების შესაბამისად, გ.გ.-ს მიმართ, როგორც თითოეული ეპიზოდისათვის, ისე დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელი არის სამართლიანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენი გ. გ.-ს მიმართ არის კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელი;

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით,-



და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ - გ. გ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ბ. ზ.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენი გ. გ.-ს მიმართ.

გ. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.108-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 08 (რვა) წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმოს ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, გ. გ.-ს სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ.-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან - 2015 წლის 19 აგვისტოდან.

ნივთიერი მტკიცებულებები:

- გ. ხ.-ს ავადმყოფობის ისტორია, რაც ერთვის საქმეს, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.
- პ. მ.-ს ტანსაცმელი, გ. გ.-ს ტანსაცმელი, გ. ხ.-ს ტანსაცმელი, რომლებიც ინახება შს კახეთის პოლიციის დეპარტამენტში, ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები, ექიმ დ. გ.-ს მიერ წარმოდგენილი ვაზნა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს.
- შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული დანა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული სისხლის ლაქები, პ. მ.-ს სისხლის ნიმუში, გ. გ.-ს სისხლის ნიმუში, გ. ხ.-ს სისხლის ნიმუში, რომლებიც ინახება შს კახეთის



პოლიციის დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, განადგურდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე

ნათია ბარბაქაძე

მოსამართლეები:

მანუჩარ კაპანაძე

ლევან თევზაძე